

ნინო სულავა
გონელი არახამია
გიორგი მამარდაშვილი
ნანა რეზესიძე

ძველი კოლხეთი - სპილენძის მეტალურგია (წყაროები, ლიტერატურული ცნობები, მითები)

Nino Sulava
Goneli Arakhamia
Giorgi Mamardashvili
Nana Rezesidze

ANCIENT COLCHIS - COPPER METALLURGY (WRITTEN SOURCES, LITERARY INFORMATION, AND MYTHS)

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION OF GEORGIA

FR-21-3697 პროექტის საბოლოო ანგარიში

THE FINAL REPORT OF THE PROJECT FR-21-3697

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
GEORGIA NATIONAL MUSEUM

თბილისი - 2025 - TBILISI

ნინო სულავა, გონელი არახამია

ნანა რეზესიძე, გიორგი მამარდაშვილი

ძველი კოლხეთი – სპილენძის მეტალურგია (წყაროები, ლიტერატურული ცნობები, მითები)

Nino Sulava, Goneli Arakhamia

Giorgi Mamardashvili, Nana Rezesidze

ANCIENT COLCHIS – COPPER METALLURGY (WRITTEN SOURCES, LITERARY INFORMATION, AND MYTHS)

თბილისი - 2025 - Tbilisi

სარჩევი

შესავალი 1

I. არქეოლოგიური კონტექსტი კოლხეთში სპილენძის მეტალურგიის შესახებ 1
II. პრეისტორიული სპილენძი - წყაროები, ლიტერატურული ცნობები, მითები 6
III. სპილენძი და ეთნოლოგია (ლეგენდა, თქმულება, გადმოცემები, ტოპონიმიკა) 18

დასკვნა 26

ლიტერატურა 51

Contents

Introduction 28

I. Archaeological context of copper metallurgy in Colchis 28
II. Pre-historic copper – sources, literary information, myths 32
III. Copper and ethnology (legends, tales, folk stories, fairy tales) 42

Summary 50

References 51

,, . . . ამ ქვეყნის (კოლხეთის) სიმდიდრე ოქროთი, ვერცხლით, რკინითა და სპილენძით გვიხსნის /არგონავტთა/ ლაშქრობის სწორ საბაბს. ამ მიზნით პირველი მგზავრობა ფრიქსემ მოაწყო . . .'' [სტრაბონი [I, 2, 39]

"… The riches of the country (Colchis) in gold, silver, iron, and copper explain the real reason for Jason's expedition. The first to undertake a journey for this purpose was Phrixus…" (Strabo (1,2,39)).

შესავალი

მეტალურგიამ კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი როლი შეასრულა, ამიტომ უძველესი მეტალურგიის, განსაკუთრებით მისი საწყისების კვლევა-ძიებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება (Tylecote, 2002; Forbes,1950; Yener K. Aslihan, 2000).

ძველი მეტალურგიის ძეგლების შესწავლის საფუძველია არქეოლოგიური კვლევები, გეოლოგიური მონაცემები და წერილობითი წყაროები, ლიტერატურული ცნობები, მითოლოგიური სიუჟეტები და ეთნოლოგიური მასალა, რომლებშიც კარგად აისახა კაცობრიობის მიერ მეტალურგიის ათვისება და ტექნოლოგიების განვითარება.

საქართველო, კოლხეთი, ერთ-ერთი ის იშვიათი რეგიონია, სადაც თავმოყრილია მეტალურგიის ძეგლების შესწავლის საფუძველის ძირითადი კომპონენტები - არქეოლოგიური, გეოლოგიური მონაცემები და წერილობითი წყაროები, ლიტერატურული ცნობები, მითოლოგიური სიუჟეტები და ადგილობრივი ტოპონიმები, რაც დიდ იშვიათობას წარმოადგენს და საშუალებას გვაძლევს კომპლექსურად შევისწავლოთ უძველესი მეტალურგიის ძეგლები.

I. არქეოლოგიური კონტექსტი

კოლხეთში სპილენძის მეტალურგიის შესახებ

საქართველოში, კოლხეთში, კოლხური ბრინჯაოს კულტურის აღმოჩენებსა და არქეომეტალურგიულ კვლევების ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, ასეთი სურათი იშლება:

კოლხეთში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სპილენძ/ბრინჯაოს არტეფაქტების დიდი რაოდენობა იყო აღმოჩენილი - სპილენძ/ბრინჯაოს განძები და ცალკეული ნივთები (საბრძოლო და სამეურნეო იარაღი, სამკაული, მცირე პლასტიკის ნიმუშები). უშუალოდ მეტალურგიასთან დაკავშირებული არტეფაქტებიც დიდი რაოდენობით მოიპოვებოდა - სპილენძის ზოდები, რომლებიც ძირითადად დასავლეთ საქართველოს ბრინჯაოს განძებიდან არის ცნობილი (სულავა, და სხვა., 2022) და ყალიბები (სულავა, †სახაროვა. 2012). თვით არქეომეტალურგიული ძეგლები - ქურა-სახელოსნოები, კი არ ჩანდა.

XX საუკუნის 60-70-იან და 80-იან წლებში აღმოჩენილი და გათხრილი პრეისტორიული კოლხეთის 400-ზე მეტი არქეომეტალურგიული ძეგლის გამოვლენამ და შესწავლამ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს, კოლხეთის მთიან

ზოლში (აჭარიდან სამეგრელო-აფხაზეთამდე) (Хахутаишвили, 1987; Khakhutaishvili, 2009), სტრაბონის ცნობილი ციტატა[1], მითიდან რეალობად აქცია. გათხრების შედეგად გამოვლენილი არქეომეტალურგიული ძეგლები, მაშინდელი შესაძლებლობით ჩატარებული ანალიზების (საბუნებისმეტყველო კვლევები) შედეგების საფუძველზე, მიჩნეული იყო რკინის მეტალურგიის ძეგლებად. შესაბამისად, მკვლევარების მიერ წერილობითი წყაროებისა და მითოლოგიაში მოძიებული იყო რკინის მეტალურგიასთან და ხალიბებთან, როგორც რკინა-ფოლადის უძველეს მწარმოებლებთან, დაკავშირებული ცნობები (Хахутаишвили, 1987; Khakhutaishvili, 2009; ინანიშვილი, და სხვა, 2010; ინანიშვილი, 2014; ხახუტაიშვილი, და სხვ. 2024).

XXI ს-ის დასაწყისში შესაძლებელი გახდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გამოყენებით ადრე შესწავლილი ძეგლების გადამოწმება (აჭარა-გურია), რის შედეგადაც რკინის მეტალურგიის ძეგლებად მიჩნეული ქურა-სახელოსნოების დიდი უმრავლესობა სპილენძის მეტალურგიას მიეკუთვნა (Erb-Satullo Nathaniel, et al., 2014: 155, ცხრილი #4). აგრეთვე, ახალი მონაცემები გამოვლინდა მთიან კოლხეთში, კერძოდ, ლეჩხუმში-ქვემო სვანეთში, რომელიც არქეომეტალურგიის თვალსაზრისით შეუსწავლელი იყო; აღმოჩნდა ძვ.წ. XIII – VIII საუკუნეების სპილენძის მეტალურგიის ძეგლები, რითიც გაიზარდა სპილენძის მეტალურგიის არეალი კოლხეთში - აჭარა-გურია-სამეგრელო-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი, (Rezesidze, et al., 2018; Sulava, et al., 2020a; სულავა და სხვ., 2020b; ჩაგელიშვილი და სხვ., 2023; Kvavadze, et al., 2024).

ამგვარად, შესაძლებელი გახდა კოლხური ბრინჯაოს კულტურის, რომელიც მოიცავს არეალს, საკონტაქტო და ინფილტრაციის ზონებით - საქართველოს მიმდებარე თურქეთის ტერიტორიას, აფხაზეთს მიმდებარე ჩრდ. ნაწილით და შიდა ქართლისა და ჩრდ. კავკასიის ნაწილს, არქეომეტალურგიაში უმნიშვნელოვანესი საფეხურის - **სპილენძ/ბრინჯაოს საფეხურის გამოყოფა, რომელიც აქამდე მხოლოდ არტეფაქტებით იყო ცნობილი**[2]. სპილენძის მეტალურგიის წარმოების ძეგლების

[1] ,, . . . ამ ქვეყნის (კოლხეთის) სიმდიდრე ოქროთი, ვერცხლით, რკინითა და სპილენძით გვიხსნის /არგონავტთა/ ლაშქრობის სწორ საბაბს. ამ მიზნით პირველი მგზავრობა ფრიქსემ მოაწყო . . .'' (სტრაბონი [I, 2, 39]).

[2] არქეოლოგიური კულტურის განსაზღვრების თვალსაზრისით ,,კოლხური ბრინჯაოს კულტურისათვის'', რომელიც ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე მეოთხედიდან ჩნდება, დამახასიათებელია ყველა ის ნიშანი, რითიც განისაზღვრება არქეოლოგიური კულტურა - მრავალრიცხოვანი და ძლიერი ეთნიკური მასის ტერიტორიის გარკვეულ არეალზე განფენილობა; ამ ეთნიკური მასისათვის დამახასიათებელი, მისი სახის განმსაზღვრელი ლითონის მრავალფეროვანი საომარი და სამეურნეო იარაღი (სამაროვნებზე, განძების სახით და ნასახლარებზე მოპოვებული), რომელიც განვითარებული მეტალურგიის (მადნის მოპოვება, დნობა, არტეფაქტების დამზადება) პროდუქტია, სპეციფიკური

დადასტურებით კიდევ უფრო გამყარდა კოლხური ბრინჯაოს კულტურის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა - წარმოშობის ცენტრი, არეალი, ქრონოლოგია, სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის წარმოშობის საფუძველი.

კოლხური ბრინჯაოს კულტურის არეალი

კონკრეტულად კი, ეს ახალი მონაცემები მოგვცა 2010, 2012 წლებში ინგლისელი მკვლევარების მიერ აჭარის მეცნიერებთან ერთად ახალი კვლევების ჩატარებამ აჭარა-გურიის იმ ძეგლებზე, რომლებიც თავის დროზე შესწავლილი იყო დ. ხახუტაიშვილის მიერ. რუკაზე დატანილ იქნა 50 არქეომეტალურგიული ძეგლი. ფოკუსირება მოხდა ორი მდინარის - სუფსისა და გუბაზეულის ხეობაზე, რადგანაც აქ იყო დაფიქსირებული ყველაზე ადრეული ძეგლები (Хахутаишвили, 1987:105, 106. Khakhutaishvili, 2009; Erb-Satullo Nathaniel, et al., 2014: 149). სუფსა-გუბაზეულისა და, აგრეთვე, ჩოლოქი-ოჩხამურის ხეობებიდან აღებული წიდების ანალიზის შედეგად,

---

კერამიკა, არქიტექტურა, ტოპონიმიკა, რწმენა-წარმოდგენები, ისტორიულ და საერთაშორისო ასპარეზზე სხვადასხვა ქვეყნის ისტორიული, ლიტერატურული თუ მითოლოგიური წყაროების მიხედვით ცნობადობა (ლორთქიფანიძე, 2001: 127-140; Сулава, 2022; Сулава, 2022ა; სულავა., და სხვა., 2020, იხ.: იქვე, მით. ლიტ.).

განსხვავებით ადრეული კვლევებისაგან, დადასტურდა სპილენძის მეტალურგია (შდრ.: Тавадзе, 1984; Erb-Satullo Nathaniel, et al., 2014: 154). ახალი კვლევების მიხედვით, წიდების ანალიზების შედეგად, დასავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეომეტალურგიულ ძეგლებზე ძირითადად სპილენძის მეტალურგია ფიგურურებს. ამ რეგიონში გასარკვევია ისეთი საკითხები, როგორიცაა - მადნის მოპოვება, ლითონის დნობის ტექნოლოგია, სპილენძის და რკინის დნობის ტექნოლოგიების კავშირი (Erb-Satullo Nathaniel, et al., 2014: 155; Gilmour, et al., 2020).

ამგვარად, როგორც აღვნიშნეთ, კოლხეთის რკინის მეტალურგიის ძეგლებად მიჩნეული არქეომეტალურგიული ძეგლების დიდი ნაწილი სპილენძის მეტალურგიას მიეკუთვნა. ფაქტობრივად, შეივსო ის არქეოლოგიურ-კულტურული სივრცე, რომელიც კოლხეთში სპილენძის მეტალურგიის (მადნის მოპოვება, დნობა) ძეგლების ,,არარსებობით'' იყო შექმნილი და წარმოდგენილი იყო მხოლოდ დიდი რაოდენობით სპილენძ-ბრინჯაოს არტეფაქტებით - ზოდები, საბრძოლო და სამეურნეო იარაღი, სამკაული (ქორიძე, 1965; სახაროვა, 1976; ჯიბლაძე, 2006; ჯიბლაძე, 2018; ინანიშვილი, და სხვ., 2019). უშუალოდ მეტალურგიასთან დაკავშირებული არტეფაქტებიც დიდი რაოდენობით მოიპოვებოდა სპილენძის ზოდების სახით, რომლებიც ძირითადად დასავლეთ საქართველოს ბრინჯაოს განძებიდან არის ცნობილი (სულავა, და სხვა., 2022) და ყალიბებით (სულავა, †სახაროვა, 2012).

სპილენძის მეტალურგიის ეტაპის დადასტურებით კოლხეთში გაჩნდა საშუალება შევადაროთ და დავადგინოთ - ქურა-სახელოსნოების ტიპები, რომლებიც მუშაობდნენ ადგილობრივ სპილენძის მადნებზე, პარალელები გავავლოთ საქართველოს და კავკასიის იმავე პერიოდის ანალოგიურ მასალასთან, განვსაზღვროთ სპილენძის მეტალურგიის ძეგლების არეალი და ქრონოლოგია - ძვ.წ. II ათასწლეული და I ათასწლეულის პირველი საუკუნეები (სულავა, და სხვა., 2020: 90).

ამ არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე განმტკიცდა კოლხური ბრინჯაოს კულტურის მატერიალური საფუძველი მომავალი სახელმწიფოებრიობის აღმოცენებისა და მისი სიძლიერის განსაზღვრისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, კოლხეთის კვლევებს დაემატა ახალი მონაცემები მთიანი კოლხეთიდან. დადასტურდა, რომ მთიანი კოლხეთის არქეომეტალურგიის ძეგლები, რომლებიც სპილენძს იყენებდნენ ნედლეულად და დანარჩენი კოლხეთის მასალებისაგან განსხვავებული დნობის საფეხურით არის წარმოდგენილი,

ქრონოლოგიის თვალსაზრისით თავსდება კოლხეთის ანალოგიური ძეგლების კონტექსტში და მათთან ერთად ავსებს ძვ.წ. II ათასწლეულისა და ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისის მონაკვეთს[3].

არქეომეტალურგიის ძეგლების შესწავლაში უმნიშვნელოვანესი როლი აქვს გეოლოგიურ მონაცემებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გეოლოგიურ შესწავლას ხანგრძლივი ისტორია აქვს, XX საუკუნეში უძველესი მეტალურგიის კვლევისას სპეციალური გეოლოგიური დაზვერვები მეტალურგიული სახელოსნოების ნაშთების არქეოლოგიური შესწავლის პარალელურად, ნედლეულის წყაროს გამოვლენისა და მისი არქეომეტალურგიულ კერებთან კავშირის დადგენის მიზნით, და კოლხური ბრინჯაოს კულტურის სამთამადნო ბაზის მულტიდისციპლინალური შესწავლა, არ განხორციელებულა[4]. გეოლოგიურმა კვლევებმა დაადასტურა, რომ დასამუშავებული მადნის წყარო - სპილენძი, ადგილობრივი წარმოშობისა იყო მთიანი კოლხეთის (ლეჩხუმი - ქვემო სვანეთი) ტერიტორიაზე (სულავა, და სხვა., 2020; ჩაგელიშვილი, და სხვა., 2023).

ამგვარად, ჩვენი მიზანი იყო ინტერდისციპლინარული კვლევების საფუძველზე გამოვლენილი კოლხეთის სპილენძის მეტალურგიის ამსახველი მასალების მოძიება წერილობით ისტორიულ წყაროებში, მითებსა და ეთნოგრაფიულ ყოფაში, მათი თავმოყრა და ინტერპრეტირება, რაც ძველი კოლხეთის, კოლხური ბრინჯაოს კულტურის მატერიალური საფუძვლის გასამყარებლად და წარმოსაჩენად ისევე

[3] რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი - ,,მეტალურგიის წარმოშობა და განვითარება მთიან კოლხეთში: ახალი აღმოჩენები, კვლევები და პერსპექტივები (# 217128), 09.12.2016 - ხელმძღ. ნ. სულავა) (სულავა, და სხვა., 2020).

[4] ზემოთ აღნიშნული, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის - ,,მეტალურგიის წარმოშობა და განვითარება მთიან კოლხეთში: ახალი აღმოჩენები, კვლევები და პერსპექტივები'' (# FR 217128), ფარგლებში განხორციელდა უძველესი მეტალურგიის არქეოლოგიური ძეგლის სიახლოვეს მოპოვებული მადანშემცველი ქანების პეტროგრაფიული შესწავლა; შერჩეულ ნიმუშებს ჩაუტარდა ანალიზები რენტგენულფლუორესცენტული (XRF) (საქართველოს ეროვნული მუზეუმის და ოქსფორდის უნივერსიტეტის არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სამეცნიერო კვევითი ლაბორატორიები) და ატომურ აბსორბციული (შპს. ”კავკასიის სამთო ჯგუფი“-ის ქიმიური ლაბორატორია) მეთოდებით. მიღებული შედეგების შედეგად გამოვლინდა სპილენძის, ტყვიის და თუთიის შემცველობების მკაფიო კორელაცია. დადასტურდა მოსაზრება, რომ დასამუშავებული მადნის წყარო ადგილობრივი წარმოშობისა იყო მთლიანად მთიანი კოლხეთის (ლეჩხუმი - ქვემო სვანეთი) ტერიტორიაზე (სულავა, და სხვა., 2020). გეოლოგიური თვალსაზრისით შემდგომი კვლევის საგანი გახდა კოლხეთის მთიან რეგიონში, პრეისტორიული მეტალურგიული სახელოსნოების ნაშთების ნედლეულის წყაროს დადგენა, უძველესი სამთო გამონამუშევრების (მაღარო) გამოვლენა და მათი არქეოლოგიური ზონდირება (რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული მეორე პროექტი - ,,სპილენძის არქეომეტალურგია მთიან კოლხეთში (ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი): მადნიდან ლითონამდე'' (# FR-19-13022), 2020-2023 წწ, ხელმძღ. რ. ჩაგელიშვილი).

აუცილებელია, როგორც არქეოლოგიური კვლევებით დადასტურებული არქეომეტალურგიული ფაქტობრივი მასალა.

II. პრეისტორიული სპილენძი - წყაროები, ლიტერატურული ცნობები, მითები

მძლავრი მეტალურგიული ბაზა, კოლხური ბრინჯაოს კულტურის და კოლხეთის სახელმწიფოებრივი სიძლიერის საფუძველი იყო (ლორთქიფანიძე, 2002). სწორედ მეტალურგიამ განაპირობა კოლხეთისადმი გარესამყაროს ინტერესი, რაც აისახა კიდეც ძველი კოლხეთის თანამედროვე ასურულ, ურარტულ, ბერძნულ წერილობით წყაროებსა და ბერძნულ მითებში. მათში ასახულ ძველი კოლხეთის რეალურობას არქეოლოგიურმა გათხრებმა ნათელი მოფინა.

ძველი კოლხეთის, კოლხური ბრინჯაოს კულტურის არეალში, სპილენძის მეტალურგიის გამოვლინებამ აუცილებელი გახადა იმ წყაროებისა და სხვა ცნობების რევიზია, რომლებიც მისადაგებული იყო რკინის უძველეს მეტალურგიასთან. საჭირო გახდა, რაც ჯერ არავის არ გაუკეთებია, არსებული წერილობითი წყაროებისკენ ხელახალი მიბრუნება, ისტორიოგრაფიაში უკვე მიმოქცევაში არსებული წყაროების „ახალი თვალით'' წაკითხვა და ახალი მასალების მოძიება; ძველი კოლხეთის მეტალურგიის შესახებ წერილობითი ცნობების დიფერენცირება (სპილენძი-რკინა) და ძველი კოლხეთის სპილენძის მეტალურგიის შესახებ მონაცემების ცალკე გამოყოფა. სწორედ ამ თვალსაზრისით, ახლებურ განხილვას მოითხოვს ძველაღმოსავლური, სახელდობრ, ასურული და ურარტული ეპიგრაფიკის ძეგლების, ძველი ბერძნული წყაროების, მითოლოგიური სიუჟეტების, ასევე, შედარებით გვიანდელი პერიოდის რომაელი, ბიზანტიელი ავტორების შესაბამისი ცნობები[5].

ძველი წერილობითი წყაროების შესწავლამ გვიჩვენა, რომ მათი ერთი ნაწილი არ შეიცავს ცნობებს ძველ კოლხეთში სპილენძის მეტალურგიის შესახებ (თუმცა სხვა ლითონების შესახებ ცნობები არის - მაგ. რკინის შესახებ).

არქეოლოგიურ მონაპოვარს ეხმიანება წერილობით წყაროებში დაცული მონაცემები. ძველ კოლხეთში სპილენძის/ბრინჯაოს წარმოების შესახებ წერილობითი ცნობების გამოვლენის მიზნით წარმოებულმა ძიებამ აჩვენა, რომ ამ კუთხით რაიმე

[5] ეს პროექტი დამაგვირგვინებელი, დასკვნითი ნაწილია რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული წინა ორი პროექტისა (# FR 217128, # FR-19-13022), რომელიც მიეძღვნა მთიან კოლხეთში არქეომეტალურგიული ძეგლების შესწავლას, რაც ფაქტობრივად, მთელი კოლხეთის არქეომეტალურგიის ძეგლების შესწავლისათვის გასაღების, საფუძვლის როლს ასრულებს თავისი ინოვაციური კვლევებით.

მნიშვნელოვანი მასალა არ აღმოჩნდა ძველ სომხურ და ირანულ ისტორიულ წყაროებში. ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, ძველ კოლხეთში მეტალურგიის განვითარების, სახელდობრ, ბრინჯაოს, რკინის, თითბრის, ოქროს, ვერცხლის მოპოვებისა და დამუშავების შესახებ ცნობებს გვაწვდიან ძველაღმოსავლური, ანტიკური და ბიზანტიური დოკუმენტური, ნარატული თუ ლიტერატურული ძეგლები.

ძველაღმოსავლური წყაროები: ძვ. წ. XI-VIII საუკუნეების ასურული წყაროები - აღნიშნული ეპოქის ასურეთის მეფეთა წარწერები (საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია, 2015: 5-19); ძვ. წ. VIII-VII საუკუნეების ურარტული წყაროები - აღნიშნული პერიოდის ურარტუს მეფეთა წარწერები (Меликишвили, 1960; მელიქიშვილი, 1990; საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია, 2015); „ბიბლიის“ ტექსტი (მცხეთური ხელნაწერი, 1981; მცხეთური ხელნაწერი, 1985).

ძველი ბერძენი ლოგოგრაფოსები: სკილაქს კარიანდელის (ძვ. წ. VI ს.) (ყაუხჩიშვილი, 1967: 7-52), ჰეკატე მილეტელის (ძვ. წ. VI ს-ის ბოლო და V ს-ის დასაწყისი), აკუსილაე არგოსელის (ძვ. წ. 575-525 წწ.), ქარონ ლამფსაკელის (ძვ. წ. VI ს-ის ბოლო მეოთხედი - V ს-ის პირველი ნახევარი), ფერეკიდე ლეროსელის (ძვ. წ. V ს.), ჰეროდორე ჰერაკლეელის (ძვ. წ. IV ს.), ჰელანიკე მიტილენელის (ძვ. წ. V ს.) ნაწარმოებები [6].

კლასიკური და ელინისტური ხანების ავტორები: ჰეროდოტეს (ძვ. წ. V ს.) (ჰეროდოტე, 1975; ჰეროდოტე, 1976), თუკიდიდეს (ძვ. წ. V ს. მეორე ნახევარი) (Фукидид, 1999), ქსენოფონტეს (ძვ. წ. V ს. მეორე ნახევარი) (მიქელაძე, 1967), ჰიპოკრატეს (ძვ. წ. 460-330) (ყაუხჩიშვილი, 1965), ფსევდო-სკილაქსის (ძვ. წ. IV ს.) (ყაუხჩიშვილი, 1965a, გვ. 5-18), ჰერაკლიდე (ძვ.წ. 390-310) (ყაუხჩიშვილი, 1969), არისტოტელეს (ძვ. წ. 384-322) (ყაუხჩიშვილი, 1969a), აპოლონიოს როდოსელის (ძვ. წ. III ს.) (აპოლონიოს როდოსელი, 1948), პოლიბიოსის (ძვ. წ. 200-120) (Полибий, 2005; Полибий, 2005a; Полибий, 1995; ყაუხჩიშვილი, 1976: 5-36), სკიმნოს ქიოსელის (ძვ. წ. II ს.) (ყაუხჩიშვილი, 1967: 53-99), დიოდორე სიცილიელის (ძვ. წ. I ს.) (ყაუხჩიშვილი, 1976: 37-117), დიონისე ჰალიკარნასელის (ძვ. წ. I ს.) (ყაუხჩიშვილი, 1976: 118 და შემდ.), სტრაბონის (ძვ. წ. 64/63 - ახ. წ. 23/24) (ყაუხჩიშვილი, 1957), ნიკოლოზ დამასკელის (ძვ. წ. 64-4 წწ.) (ყაუხჩიშვილი, 1969a), პლუტარქეს (ახ. წ. 46-120/130)

[6] ჰეკატე მილეტელის, აკუსილაე არგოსელის, ფერეკიდე ლეროსელის, ჰეროდორე ჰერაკლეელის, ჰელანიკე მიტილენელის თხზულებები დაკარგულია. მათი ცალკეული ფრაგმენტები შემონახულია გვიანდელი ავტორების თხზულებებში. ვრცლად იხ.: ლომოური, ნ. 1963. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 35. 3-35. თბილისი.

(პლუტარქე, 1957, პლუტარქე, 1987), ფლავიუს არიანეს (ახ. წ. 95-175) (ფლავიუს არიანე, 1961; ყაუხჩიშვილი, 1983: 94-238), აპიანეს (ახ. წ. II ს.) (აპიანე, 1959), დიონ კასიოსის (ახ. წ. 153-235) (ლომოური, 1966), დიონისიოს პერიეგეტის (ახ. წ. II ს.) (ყაუხჩიშვილი, 1967), კლავდიუს ელიანუსის (170-222) (ყაუხჩიშვილი, 1969a), მემნონის (I-II სს.) (ყაუხჩიშვილი, 1987, გვ. 11-50), კლავდიოს პტოლემაიოსის (ახ. წ. 100-170) (ლომოური, 1955), ლუკიანეს (120-200) (ყაუხჩიშვილი, 1987: 51-118), ალკიფრონის (II-III სს.) (ყაუხჩიშვილი, 1987: 118-140) ნაშრომები.

რომაელი ავტორები: ციცერონის (ძვ. წ. 106-43), (მარკუს ტულიუს ციცერონი, 2013), გაიუს იულიუს ცეზარის (ძვ. წ. 100-44) (კეისარი, 2015), კორნელიუს ნეპოტის (ძვ. წ. 100-29) (Корнелий Непот, 1992), ტიტუს ლივიუსის (ძვ. წ. 59-17) (Тит Ливий, 2002; Тит Ливий, 2002a; Тит Ливий, 2002b), პომპონიუს მელას (ახ. წ. I ს.) (გამყრელიძე, 1965: 11-48), იოსებ ფლავიოსის (ახ. წ. I ს.) (ყაუხჩიშვილი, 1983: 12-93; გეორგიკა, 1961: 271-273; იოსებ ფლავიოსი, 1987, იოსებ ფლავიოსი, 1988), პლინიუს უფროსის (ახ. წ. 24-79) (Латищев, 1949: 271 и след.; Плиний старший, 2022; Плиний старший, 2018: 160-189; Плиний старший, 1995: 141-190), ტაციტუსის (ახ. წ. 55-120) (გამყრელიძე, 1973), სვეტონიუსის (ახ. წ. 70-160) (გაიუს სვეტონიუს ტრანკვილუსი, 2011), ამიანე მარცელინეს (ახ. წ. 330-400) (გეორგიკა, 1961: 75-165) ისტორიული თხზულებები.

წყაროების ტექსტების გაცნობა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სპილენძის მეტალურგიის შესახებ ცნობების მოძიებით, მნიშვნელოვანი იყო ცნობების ამოკრეფა სხვა ლითონების შესახებაც - ოქრო, ვერცხლი, რკინა, ბრინჯაო, რათა გვქონდეს ზოგადად მეტალურგიის შესახებ მეტ-ნაკლებად სრული სურათი წერილობითი წყაროების მიხედვით, რაც, თავის მხრივ, სპილენძისა და ლითონის სხვა სახეობების წარმოების სინქრონიზაციის საშუალებას მოგვცემს.

ტექსტების შემოწმებამ გვიჩვენა, რომ აღნიშნული წყაროების ერთი ნაწილი არ შეიცავს ცნობებს ძველ კოლხეთში სპილენძის მეტალურგიის შესახებ, რაც გარკვეული აზრით შედეგია, რამდენადაც ირკვევა, თუ სად და რომელ ავტორებთან არ უნდა ვეძებოთ მონაცემები ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით.

ჩამოთვლილი წყაროების გარკვეულ ნაწილში დაცულია მონაცემები ძველ კოლხეთში ლითონის წარმოების, მათ შორის, ჩვენთვის საინტერესო სპილენძის მეტალურგიის შესახებ.

ძველაღმოსავლური წყაროები:

ხეთის მეფის თუთხალია III-ის (ძვ. წ. 1360-1344 წწ.) ომების ამსახველ წყაროებში, სადაც ლაპარაკია ერთ-ერთი მეზობელი ქვეყნის, *ისუვას* წინააღმდეგ ლაშქრობაზე, ნადავლის შესახებ ნათქვამია, რომ დამარცხებული ქვეყნიდან მეფემ, სხვა ქონებასთან ერთად, ბრინჯაოს ნივთებიც წაიღო (ღამბაშიძე, 2003: 103-104).

ეგვიპტის ფარაონის რამზეს II (ძვ. წ. 1279-1213 წწ.) ხანის რამდენიმე ჩანაწერში ერთგან დასტურდება *„მთა ასია“,* მეორეგან *„მთა ალასია“,* საიდანაც ვერცხლი და სპილენძი გაჰქონდათ ეგვიპტეში. მკვლევარები ფიქრობენ, რომ აქ საუბარი ეხება დასავლეთ ანატოლიაში მდებარე ხეთური წყაროების ისუვას (Mantzourani, Kopanias and Voskos, 2019: 103-104). ისუვა კი კოლხური ტომების გავრცელების არეალის სიახლოვეს, აწინდელი მდ. მურად-სუს სანახებში მდებარეობდა, სადაც ხურიტულთან ერთად ქართველური მოსახლეობაც ივარაუდება (იხ.: ჩარექიშვილი, 2021: 210-230).

ასურეთის მეფის აშურნასირპალ II-ის (ძვ. წ. 884/3-859 წწ.) „ანალებში“ მისი სახელით ნათქვამია: *„მივიღე ხარკი ქათმუხისა და მუშქების ქვეყნებისაგან - ბრინჯაოს ჭურჭელი, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი და ღვინო“* (საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია, 2016: 13). აქ იგულისხმება ე. წ. აღმოსავლელი მუშქები, ქართველური ეთნიკური სამყაროს ერთ-ერთი უძველესი ტომის მესხების ის ნაწილი, რომელიც ძვ. წ. XII საუკუნეში სამხრეთ კავკასიიდან მცირე აზიის მიმართულებით გადაადგილდნენ და მდ. ტიგროსის ზემო დინების რაიონში დამკვიდრდნენ (Меликишвили, 1959: 84-105; ხაზარაძე, 1984: 91-95; ხახუტაიშვილი ნ. 2009: 8-10).

ურარტუს მეფე მენუა კლდეზე ამოკვეთილ ერთერთ წარწერაში (ძვ. წ. IX-VIII სს. მიჯნა) აცხადებს: *„უტუფურში, მეფე დიაუეხისა, მოვიდა ჩემს წინაშე ... შევიწყალე იგი ხარკის (გადახდის) პირობით. მომცა მან ოქრო და ვერცხლი, მომცა ხარკი“* (Меликишвили, 1960: 150; მელიქიშვილი, 1990: 272; საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია, 2015: 20).

ურარტუს მეფე არგიშთი I-ის (ძვ.წ. 786-764 წწ.) მატიანე, რომელიც ვანის კლდეზეა ამოკვეთილი მოგვითხრობს ამ მეფის ლაშქრობის შესახებ დიაუხის გაერთიანებისა და მისი მეზობელი რეგიონების: ზაბახას (ჯავახეთი), ვიტერუხის (ოძრხე), ქათარზა (კლარჯეთი), ლოსას (ლაზები) წინააღმდეგ. გამარჯვებული არგიშთი იუწყება: *„დიაოხის მეფე დავიმორჩილე, შევიწყალე იგი ხარკის გადახდის პირობით, . . . ხარკი მისცა დიაოხიელმა არგიშთის: 41 მინა სუფთა ოქრო, 37 მინა ვერცხლი, [....] ათი ათასი მინა სპილენძი, 1000 საჯდომი ცხენი... აი, როგორი ხარკი დავადე მე დიაოხის*

ქვეყანას, რათა მას (ეს ხარკი) ეძლია ყოველწლიურად: (ამდენი) მინა სუფთა ოქრო, 10 000 მინა სპილენძი (ამდენი) ხარი, 100 ძროხა“ძროხა“ (Меликишвили, 1960: 210; მელიქიშვილი, 1970: 255; საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია, 2015: 25).

ურარტუს მეფე სარდური II-ის ლაშქრობის აღწერაში, რომელიც ძვ. წ. 747-742/41 წლებში მოხდა, ნათქვამია: *„გავემართე სალაშქროდ კოლხას ქვეყნის წინააღმდეგ. ეს ქვეყანა (მე დავიპყარი). ქალაქი ილდამუსა... ბრძოლით დავიპყარი... რკინის ბეჭედი გავაკეთებინე“* (მელიქიშვილი, 1970: 264; საქართველოს ძველი ისტორიის ქრესტომათია, 2015: 22).

ბიბლია

ქართველური ტომები ბიბლიური ტრადიციის მიხედვით ლითონის მწარმოებლებად არიან მიჩნეულნი (საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1970: 316, 333). მჭედელი არის „ამირანიანის“ მთავარი ფიგურა, რომელიც ღვთის განაჩენის შესრულების სადარაჯოზე დგას (კიკნაძე, 2001: 34, 35).

ქართველ ტომებში მეტალურგიის გავრცელების შესახებ ცნობა დაცული ბიბლიაში, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია განხილვის საგანია და ეხება „დაბადების“ შემდეგ ინფორმაციას: *„თობალ იყო კუერით ხუროი, მჭედელი რვალისა და რკინისა ’’*(მცხეთური ხელნაწერი, 1981; ძველი აღთქმა, დაბადება 4: 22).

ეზეკიელის ტვიროსის გოდებაში ვკითხულობთ: *„იავანი, თობელი და მოსოხ ვაჭრობდნენ შენ შორის სულებსა კაცთასა და ჭურჭელნი რვალისანი მიეცნეს სავაჭროდ შენდა“*(მცხეთური ხელნაწერი, 1985: 38:13).

უძველესი ბერძნული ლიტერატურული ძეგლები

ძველ კოლხეთში ლითონის წარმოების, კერძოდ, სპილენძის მეტალურგიის შესახებ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ძველბერძნულ თქმულებას არგონავტების შესახებ, რომელსაც საფუძვლად დაედო რეალური ისტორიული ფაქტი - ბერძენთა ლაშქრობა შავი ზღვის სანაპიროებზე, რასაც, მკვლევართა აზრით, ადგილი ჰქონდა ძვ. წ. XIII საუკუნეში (მიქელაძე, 1974: 169 და შემდ.; ლორთქიფანიძე, 1966: 27 და შემდ.).

თქმულების ცალკეული ეპიზოდები გადმოცემულია უძველეს ბერძნულ ლიტერატურულ ძეგლებში:
ჰომეროსი (ძვ. წ. VIII ს.), ჰესიოდე და მისი სკოლის წარმომადგენლები, ევმელოს კორინთელი (ძვ. წ. VIII ს.), კინეთონი (ძვ. წ. VIII-VII სს), ნავპატიკა (ძვ. წ. VIII-VII სს.),

მიმნერმე (ძვ. წ. VII-VI სს), ეპიმინიდე (ძვ. წ. VII-VI სს), სიმონიდე კეოსელი (ძვ.წ. 556-468 წწ.), პინდარე (VI-V სს), ანტიმაქე კოლოფონელი (V ს.), ესქილე (ძვ. წ. 525-456 წწ.), სოფოკლე (ძვ. წ. 496-406 წწ.), ევრიპიდე (ძვ. წ. 480-406 წწ.), არისტოფანე (ძვ. წ. 445-385 წწ.), ჰეკატე მილეტელი (ძვ. წ. 549-472 წწ.), აკუსილაე არგოსელი (ძვ. წ. 575-523 წწ), ფერეკიდე (ძვ. წ. V ს), ჰეროდორე (ძვ. წ. VI-V სს), ჰელანიკე მიტილენელი (ძვ. წ. 480-395 წწ), ჰეროდოტე (ძვ. წ. 484-425 წწ.), ფსევდო-სკილაქსი (ძვ. წ. V. ს.), თეოპომპე ქიოსელი (ძვ. წ. V ს.), თეოკრიტე (ძვ. წ. IV ს.), კალიმაქე კვირენელი (ძვ. წ. 315-240 წწ.), ლიკოფრონე ქალკიდელი (ძვ. წ. III ს.) და სხვ. (დაწვრ. იხ.: ურუშაძე, 2018: 169-299).

ყველაზე სრული თხრობა არგონავტების ლაშქრობის შესახებ წარმოდგენილია ძვ.წ. III საუკუნის ბერძენი ავტორის აპოლონიოს როდოსელის პოემაში „არგონავტიკა“. ამ უკანასკნელმა, როგორც თ. ყაუხჩიშვილი შენიშნავს, ამ მითისათვის ერთგვარი დაკანონებული, ოფიციალური ვერსია შექმნა (ყაუხჩიშვილი, 1976: 17).

შემდგომი ხანის ბერძენი და რომაელი ავტორებისთვის, რომლებიც აღნიშნულ თქმულებას ეხებიან - აპოლოდორე (ძვ. წ. II ს.), დიოდორე სიცილიელი (ძვ. წ. I), სტრაბონი, პავსანია (ახ. წ. II ს.), ევსევი კესარიელი (260-340 წწ.), სქოლიასტი იონე ცეცე (XII ს), ამოსავალი საფუძველი სწორედ აპოლონიოს როდოსელის პოემაა (დაწვრ. იხ.: ურუშაძე, 2018: 200- 491).

კოლხურ ტომებში მეტალურგიის, მათ შორის, სპილენძის მოპოვებისა და წარმოების შესახებ ცნობები მოიპოვება როგორც აპოლონიოს როდოსელის წინამორბედ, ძვ.წ. VIII-IV სს. ავტორებთან, ისე აპოლონიოსის პოემაში და მისი შემდგომი ხანის ავტორებთან.

ავტორთა ცნობების, რომელთა ნააზრევში ამა თუ იმ ფორმით ასახვა ჰპოვა არგონავტების შესახებ თქმულებამ, ქრონოლოგიური თანმიმდევრობა ასეთია:

ჰომეროსი თავის „ილიადაში“ ასახელებს რა ტროელთა მოკავშირეებს, წერს: *„ხოლო ჰალიძონებს მოუძღოდნენ ოდიოსი და ეპისტროფოსი შორეული ალიბედან, სადაც არის ვერცხლის სამშობლო“* (ურუშაძე, 2018: 170).

მიმნერმეს (ძვ. წ. VII-VI სს.) თავის ელეგიების კრებულში „ნანო“, რომლის მოღწეულ ფრაგმენტთაგან ერთერთში ნათქვამია: *„აიეტის ქალაქი. აქ მალი ჰელიოსის სხივები ძევს ოქროს დარბაზში, ოკეანეს სანაპიროზე, სადაც წარემართა ღვთაებრივი იასონი“* (ურუშაძე, 2018: 202).

პინდარე (522/518-442/433 წწ.) პოეტურ ნაწარმოებში „მეოთხე პითიური ოდა“ მოგვითხრობს, რომ იასონის მეთაურობით არგონავტები მიადგნენ ფასისს და მეფე აიეტს ოქროს საწმისი მოსთხოვეს და განაგრძობს: *„და აი, აიეტმა [ველის] შუაგულში გამოიყვანა ფოლადის ხარები, რომლებიც ყვითელი ნესტოებიდან ცეცხლის ალს აფრქვევდნენ, სპილენძის ჩლიქებით კი რიგრიგობით მიწას გლეჯდნენ“.* აიეტმა ისინი უღელში შეაბა და ველის ხვნას შეუდგა (ურუშაძე, 2018: 214).

იმავეს იმეორებს პინდარეს გვიანდელი სქოლიასტიც (ურუშაძე, 2018: 222).

ესქილე დრამაში „მიჯაჭვული პრომეთე“ ამბობს: პრომეთე მიმართავს ოკეანეს - *„შენი სახელის მოზიარე წყალი და პირველქმნილი კლდით გადახურული მღვიმენი რომ დატოვე, ვით გაბედე მოსვლა რკინის დედის ქვეყნად?“.* დრამის გვიანდელი სქოლიასტი განმარტავს, რომ ესქილეს რკინის დედის ქვეყანა ანუ რკინის წარმომშობი ქვეყანად *„სკვითიას გულისხმობს, ვინაიდან იქ სადღაც ახლოს ცხოვრობენ ხალიბები-სკვითური ტომი, სადაც მოიპოვება რკინა“.* იგივე სქოლიასტი აღნიშნავს: *„რკინის დედა: ესე იგი რკინის დამამუშავებელი; სკვითიის ხალიბური მხარე, სადაც პირველად მოიძებნა რკინა. გულისხმობს კავკასიონს, სადაც ხალიბებია“*(ურუშაძე, 2018: 226-227).

დურისის (340-275 წწ.) შემორჩენილი ფრაგმენტის მიხედვით, პრომეთე კავკასიის მთებში „სპილენძის ბორკილებით მიჯაჭვული“ ყოფილა (ურუშაძე, 2018: 343).

ევრიპიდეს (480-406 წწ) ერთერთი სქოლიასტი გვაუწყებს: *„ხალიბები-ტომი პონტოსი, სადაც რკინის საბადოებია“*(ურუშაძე, 2018: 240).

ფერეკიდე ლეროსელის (ძვ. წ. V ს.) შემონახული ფრაგმენტები გვაუწყებენ: *[აიეტის მიმართვა არგონავტებისადმი]: „ორი სპილენძისფეხებიანი ხარი, სახით ალის მფქრეველნი, მათ გამოვრეკავ, დავუღლავ და არესის ველზე ოთხდღიურ პირქუშ ხოდაბუნს ვხნავ“.* ფედერიკე მეექვსე წიგნში *,,ორმოცდაათ დღიურს იტყვის“* (ურუშაძე, 2018: 253).

მისივე სხვა ფრაგმენტის მხედვით, აიეტის ხარები, რომლითაც ის არესისადმი შეწირულ ველს ხნავდა - *„რომ სპილენძის ფეხებიანი და ცეცხლის მფრქვეველნი იყვნენ, ამას ფერეკიდეც ამბობს“*(ურუშაძე, 2018: 262; ლომოური, 1963: 32).

საინტერესო ცნობებია დაცული აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“:

ოქროს საწმისის მოსაპოვებლად კოლხეთისაკენ მიმავალ არგონავტებს წინასწარმეტყველი ფინევსი აღუწერს მათთვის უცნობ ქვეყანას: *„შავ ზღვასთან*

პატარა ირისის შესართავს ზემოთ ზღვას იდაყვის მსგავსი, მოხრილი ნაპირი აკრავს. ამ ნაპირის კიდეზე არის კონცხი თემისკირა. აქ ზღვის წყნარ უბეს ერთვის შორიდან მომავალი მდინარე თერმოდონტი. თერმოდონტის შესართავთან გაშლილია დოიასის ველი და აქვეა ამაზონების სამი ქალაქი. შემდეგ კლდოვან და პირქუშ მიწაზე ადამიანთა შორის ყველაზე უფრო საბრალო მუშები - ხალიბები ცხოვრობენ, რომლებიც რკინას ამუშავებენ". შემდეგ სახლობენ ტიბარენები, მოსინიკები (აპოლონიოს როდოსელი, 1948: 81). *„თემისკირიიდან გამგზავრებული არგონავტები მეორე დღეს და მომდევნო ღამეს ხალიბთა ქვეყნის გასწვრივ მიცურავდნენ. ხალიბები არც მიწას ამუშავებენ ხარების საშუალებით, არც ტკბილი ნაყოფის მომცემ ხეხილის გაშენებას მისდევენ და არც ნახირს აძოვებენ ცვარით მოფენილ ველზე. ისინი რკინით მდიდარ პირქუშ მიწას თხრიან და მოპოვებულ მადანს სურსათზე ცვლიან. ისე არ დადგება დღე, რომ ხალიბებისათვის მძიმე შრომა არ მოჰქონდეს. მათ მძიმე მუშაობა შავ ჭვარტლში და კვამლში გადაჰქონდათ"* (აპოლონიოს როდოსელი, 1948: 101). *„კავკასიის მაღალ მთებში „სპილენძის ბორკილებით პირქუშ კლდეებზე მიჯაჭვული პრომეთე თავისი ღვიძლით კვებავდა არწივს, რომელიც განუწყვეტლივ მიისწრაფოდა ხოლმე მისკენ"* (აპოლონიოს როდოსელი, 1948: 108). აიეტის *„სასახლის თავზე, სპილენძის ქონგურებზე, ქვის კოშკი იდგა"* (აპოლონიოს როდოსელი, 1948: 116). *„ჰეფესტომ აიეტს გამოუჭედა სპილენძისფეხებიანი ხარები, რომელთაც სპილენძისავე რქები ჰქონდათ, საიდანაც ცეცხლის საზარელი ალი ამოსდიოდათ. მანვე გაუკეთა მთლიანი გუთანი მაგარი ფოლადისაგან"* (აპოლონიოს როდოსელი, 1948: 116-117). აიეტის ერთ-ერთი მონა სასახლის ეზოში *„სპილენძის ცულით გამხმარ შეშას აპობდა"* (აპოლონიოს როდოსელი, 1948: 118). აიეტი მიმართავს იაზონს: *„არესის ველზე საბალახოდ გაშვებული მყავს ორი სპილენძისჩლიქებიანი ხარი . . . მათ მე გუთანში ვაბამ და არესის ველზე ოთხ დღიურ პირქუშ მიწას ვხნავ"* (აპოლონიოს როდოსელი, 1948: 122). *,,ამ დროს აიეტი გველეშაპის კბილებს თესავს, საიდანაც სპილენძის იარაღით აღჭურვილი დევგმირები აღმოცენდებიან"* (აპოლონიოს როდოსელი, 1948: 124,125). მედეას დახმრებით იაზონმა აიეტის პირობა იოლად შეასრულა - სპილენძისჩლიქებიანი ხარებით არესის ველი უვნებლად მოხნა (აპოლონიოს როდოსელი, 1948: 129).

მნიშვნელოვანია ჰეროდოტეს (V ს.) ცნობა ხალიბების შესახებ: *„ხალიბებს პატარა ფარები ჰქონდათ გამოუქნელი ხარის ტყავისა და თითოეულს ორი შუბი ეპყრა ლიკიური ხელობისა, ხოლო თავზე ეხურათ სპილენძის მუზარადები. მუზარადებზე იყო სპილენძისაგან ნაკეთები ხარის ყურები და რქები, აქვე იყო ბიბილოც. მუხლები ძოწეულის ნაჭრებით ჰქონდათ შემოხვეული"* (ჰეროდოტე, 1976: 435).

არისტოტელე (ძვ.წ. 384-322 წწ.) თხზულებაში „სასწაულებრივ ხმათათვის“ მოგვითხრობს ხალიბების მიერ გამოდნობილი რკინის განსაკუთრებული თვისების შესახებ და კოლხური ტომის, მოსინიკების მიერ სპილენძის დამუშავების შესახებ - *„ამბობენ, რომ ხალიბური და ამისური რკინა მეტად განსაკუთრებული წარნოშობის არის. როგორც გადმოგვცემენ, იგი წარმოცენდება მდინარეთაგან ჩამოზიდული ქვიშიდან. ერთნი ამბობენ: ამ [ქვიშას] უბრალოდ რეცხავენ და ღუმელში ადნობენო; მეორენი კი [ამტკიცებენ]: რეცხვისაგან წარმოქმნილ ნალექს მრავალგზის ასუფთავებენ წყლით და ისე ადნობენ, თან უმატებენ ეგრეთ წოდებულ ცეცხლგამძლე ქვას, რაც მრავლადაა [იმ] ქვეყანაში. ეს რკინა სხვებზე ბევრად უკეთესია, და ერთ ღუმელში რომ არ ადნობდნენ, როგორც ჩანს, არაფრით აღარ გამოირჩეოდა ვერცხლისაგან. ამბობენ: მხოლოდ [ეს რკინა] არის უჟანგავიო; მაგრამ მრავლად არ მოიძევება“.* ავტორი იქვე გადმოგვცემს უაღრესად მნიშვნელოვან ცნობებს კიდევ ერთი კოლხური ტომის, მოსინიკების მიერ სპილენძის დამუშავების შესახებ: *„ამბობენ: ყველაზე უფრო მბრწყინავი და ქათქათა მოსინიკური სპილენძიაო. მას უზავებენ არა კალას, არამედ იქ არსებულ რაღაც მიწას, რომელიც [სპილენძთან] ერთად გამოიდნობა. ამბობენ [ამ] ნარევის აღმომჩენმა არავის ასწავლა [საიდუმლოებაო]. ამის გამო გამოირჩევა იმ ადგილებში წარმოქმნილი სპილენძის ნაკეთობა, შემდეგ ხანებში დამზადებული კი უკვე აღარ [გამოირჩევა]“* (ურუშაძე, 2018: 292, 293; ყაუხჩიშვილი, 1969a: 46).

თეოპომპე ქიოსელი (ძვ. წ. IV ს.) თავის თხზულებაში „ღვთისმოშიშობისათვის“ განმარტავს კოლხური კჳრბების რაობას - *„კჳრბები სპილენძისა იყო და არა რამე ხისაგანი, ისინი გამოიგონეს კორიბანტებმა , საიდანაც კჳრბები შეერქვათ“* (ურუშაძე, 2018: 297).

ცნობები კოლხური კჳრბების შესახებ დაცულია აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“, სადაც ვკითხულობთ: კოლხებს *„შენახული აქვთ თავიანთი მამათგან ნაწერი კჳრბები, რომლებზედაც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი„* (აპოლონიოს როდოსელი, 1948: 279-281).

ძველი ბერძენი ავტორების ცნობების შეჯერების საფუძველზე ა. ურუშაძე ცხადჰყოფს, რომ კჳრბები ქვის, თიხის ან ხის ძველისძველი ფირფიტებია, სადაც თავდაპირველად ქალღვთაება კიბელეს ტაძრის ქურუმების - კორიბანტების მიერ შედგენილი საკრალური ტექსტები იყო ამოკვეთილი, შემდგომში „კჳრბისი“ ეწოდა ყველა საბუთსა და კანონს, რომლებიც ფირფიტებზე იწერებოდა, უფრო მოგვიანებით

კჳრბები ეწოდა კარტოგრაფიულ ცნობარს. კჳრბები ფორმით იყო სვეტი და აღიმართებოდა საზოგადოებრივ (საჯარო) სივრცეში (ურუშაძე, 2018: 152-168).

თეოპომპე ქიოსელი, განსხვავებით აპოლონიოს როდოსელისაგან, აზუსტებს თუ რა მასალისგან იყო შექმნილი კოლხური კჳრბები.

ლიკოფრონ ქალკიდელი (ძვ წ. III ს.) თავის პოეტურ ქმნილებაში „ალექსადრა“ ასახელებს ხალიბურ ხმალს, გვიანდელი სქოლიასტი კი ურთავს განმარტებას: *„ხალიბები-სკვითური ტომი, რომლებთანაც მოიპოვებ საუკეთესო რკინა“, სხვაგანაც წერს: „ხალიბებმა პირველებმა აღმოაჩინეს რკინა“* (ურუშაძე, 2018: 301, 304). იმავე „ალექსადრას“ სხვა სქოლიასტი, იოანე ცეცე ამბობს: *„ხალიბები ტომია პაფლაგონიის, რომლებთანაც, ჩანს, პირველად აღმოჩნდა რკინა“.* სხვაგან კი წერს: *„ხალიბები სკვითური ტომია, რომლებთანაც მოიპოვება საუკეთესო რკინა“*(ურუშაძე, 2018: 310).

აპოლონიოს როდოსელის პოემის ერთ-ერთი სქოლიასტი ხალიბებთან დაკავშირებით შემდეგს წერს: „ხალიბები -სკვითური ტომი თერმოდონტის შემდეგ. მათ აღმოაჩინეს რკინის მადნები და დიდი ჯაფით ამუშავებენ. ხალიბები ეწოდათ არესის ძის ხალიბოსისგან. მოიხსენიებს მათ კალიმაქეც: დაიღუპოს მოდგმა ხალიბთა, რომელთაც აღმოაჩინეს დედამიწიდან აღმოსული ის მავნე საგანი“. იმავე პოემის სხვა სქოლიასტი იუწყება: ,,ხალიბებს საბადოებიდან ამოაქვთ რკინა, ჰყიდიან და ასეთრიგად შოულობენ ცხოვრების სახსარს, ვინაიდან მოსავლიანობისათვის უვარგისი მიწა უკავიათ“ (ურუშაძე, 2018: 322-323,326).

აპოლოდორე (ძვ. წ. II ს.) თავის ბიბლიოთეკაში ვრცელ ადგილს უთმობს არგონავტების თავგადასავალს. ერთგან წერს: *„არგონავტებმა ჩაუარეს თერმოდონტს, კავკასიონს და მდინარე ფაზისთან მივიდნენ. ეს კოლხეთის ქვეყნის მდინარეა. როცა ხომალდი ნაპირს მიადგა, იასონი აიეტს ეწვია და სთხოვა, მისთვის საწმისი მიეცა. ისიც შეჰპირდა მიცემას, თუ უღელში შეაბამდა სპილენძისფეხებიან ხარებს: აიეტს ჰეფესტოს ნაჩუქარი, სიდიდით გამორჩეული ორი ველური ხარი ჰყავდა; ფეხები მათ სპილენძისა ჰქონდათ”*(ურუშაძე, 2018: 359-360).

ქსენოფონტე, რომელმაც ძვ. წ. 401 წ. ბრძოლით გაიარა გზა შუა ანატოლიიდან შავი ზღვის სანაპირომდე, აღნიშნავს: ხალიბები *„ცხოვრობდნენ უპირატესად რკინის დამუშავების მეშვეობით“*(მიქელაძე, 1967: 106).

ბერძენი ისტორიკოსი (I ს.) და გეოგრაფი სტრაბონი აღნიშნავდა, რომ - *,, . . . ამ ქვეყნის (კოლხეთის) სიმდიდრე ოქროთი, ვერცხლით, რკინითა და სპილენძით გვიხსნის /არგონავტთა/ ლაშქრობის სწორ საბაბს. ამ მიზნით პირველი მგზავრობა*

ფრიქსემ მოაწყო . . .” (სტრაბონი [I, 2, 39]). *„ეხლანდელი ქალდები ძველად ხალიბებად იწოდებოდნენ, უფრო ამათ შორის მდებარეობს ფარნაკია, რომელსაც [ერთის მხრივ] ზღვიდან აქვს შემოსასვლელი. ხოლო [მეორე მხრივ] ის მიწიდან [იღებს] ლითონებს, ეხლა რკინას, ხოლო უწინ ვერცხლსაც. საერთოდ ამ ადგილებში სანაპირო მეტისმეტად ვიწროა, რადგან იქვე ზემოთ აღმართულია ლითონებით სავსე და ტყიანი მთები. მუშავდება კი ცოტა [ადგილები]. მომთამადნეები თავს ირჩენენ ლითონის [მოპოვებით], ხოლო მეზღვაურნი - მებადურობით“* (ყაუხჩიშვილი, 1957: 204, 205). სტრაბონი ჰომეროსთან „კატალოგში“ მოხსენიებულ ალიძონებს შორეული ალიბედან, აიგივებს ამ ხალიბებთან. ჰომეროსი კი *წერსო: „ხოლო იდიოსი და ეპისტროფოსი მოუძღოდნენ ალიძონებს შორეული ალიბედან, სადაც არის ვერცხლის საბადო“* (ყაუხჩიშვილი, 1957: 205).

დიონისიოს პერიეგეტი (ახ. წ. II ს). გვაუწყებს: *„ეხლა კი მიხედე პონტოელ ტომებს, რომლებიც შეუგუფულად ცხოვრობენ ევქსინის სანაპიროზე, კოლხებისაგან და ფასისიდან დასავლეთისაკენ, ვიდრე თრაკიის სრუტემდე, სადაც ქალკიდის მიწებია. პირველები არიან ბიძერები, მაკრონები, ფილერები და ისინი, ვისაც ხის მოსინები აქვთ, ამათ მახლობელად არიან ცხვრით მდიდარი ტიბარენები. ამათ მეზობლად უხეშსა და მკაცრ მიწა-წყალზე ცხოვრობენ ხალიბები. ისინი დგანან მძიმედმჭედრად გრდემლებთან და არასოდეს ისვენებენ ჯაფისა და საშინელი გასაჭირისაგან“* (ყაუხჩიშვილი, 1967: 159).

სტეფანე ბიზანტიელი (VI ს.) აღნიშნავს: *„ხალიბები ტომი პონტოზე, მდ. თერმოდონტზე. მათ შესახებ ამბობს ევდოქსე I წიგნში: «ხალიბთა ქვეყნიდან გააქვთ რკინა, რომელსაც სიმაგრეს უქებენ»* მათ ჰომეროსი ჰალიძონებს ეძახის „კატალოგში“ . ავტორი იზიარებს სტრაბონის ზემოთ მოტანილ აზრს ჰომეროსისეული ალიძონებისა და ხალიბების იგივეობის შესახებ, თუმცა სტრაბონს არ უთითებს (გეორგიკა 1936: 288).

მოტანილი ცნობები დიდი ხანია ცნობილია საქართველოს ძველი ისტორიის მკვლევარებისათვის, განხილულია აღნიშნული მასალის წყაროთმცოდნეობითი კრიტიკის საკითხები, მრავალმხრივ არის გამოყენებული საქართველოს ისტორიის აღნიშნული პერიოდის სხვადასხვა საკითხის შესასწავლად. თუმცა, ქართველი ტომების მიერ სპილენძის მოპოვებისა და დამუშავების შესახებ წერილობითი ცნობების მისადაგება უკანასკნელი პერიოდის არქეოლოგიურ მონაპოვრებთან ჯერ არავის გაუკეთებია.

ამგვარად, ძველი წერილობითი წყაროებისა და ლიტერატურული ძეგლების შესწავლამ გვიჩვენა, რომ -

- ძველ კოლხეთში მეტალურგიის განვითარების, სახელდობრ, ბრინჯაოს, რკინის, თითბრის, ოქროს, ვერცხლის მოპოვებისა და დამუშავების შესახებ ცნობებს გვაწვდიან ძველაღმოსავლური, ანტიკური და ბიზანტიური დოკუმენტური, ნარატული თუ ლიტერატურული ძეგლები.
- წყაროების ტექსტების გაცნობა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სპილენძის მეტალურგიის შესახებ ცნობების მოძიებით, მნიშვნელოვანი იყო ცნობების ამოკრეფა სხვა ლითონების შესახებაც - ოქრო, ვერცხლი, რკინა, ბრინჯაო, რათა გვქონდეს ზოგადად მეტალურგიის შესახებ მეტ-ნაკლებად სრული სურათი წერილობითი წყაროების მიხედვით, რაც, თავის მხრივ, სპილენძისა და ლითონის სხვა სახეობების წარმოების სინქრონიზაციის საშუალებას მოგვცემს.
- ჰეროდოტეს ცნობით ხალიბებს სპილენძის მუზარადები ქონდათ, ხოლო სტრაბონის ცნობით მიწიდან იღებდნენ ,,ლითონებს, ეხლა რკინას, ხოლო უწინ ვერცხლსაც''.
- უძველეს ბერძნულ ლიტერატურულ ძეგლებში, რომლებიც განსაკუთრებით საინტერესოა არგონავტების მოგზაურობის გამო, რადგან ეს სიუჟეტი გარკვეულწილად ქრონოლოგიური ფონის აღდგენის საშუალებას გვაძლევს, განსაკუთრებით ბევრი ცნობაა დაცული.
- წყაროების ერთი ნაწილი არ შეიცავს ცნობებს ძველ კოლხეთში სპილენძის მეტალურგიის შესახებ (თუმცა სხვა ლითონების შესახებ ცნობები არის - მაგ. რკინის შესახებ).
- ძველ კოლხეთში სპილენძის/ბრინჯაოს წარმოების შესახებ წერილობითი ცნობების გამოვლენის მიზნით წარმოებულმა ძიებამ აჩვენა, რომ ამ კუთხით რაიმე მნიშვნელოვანი მასალა არ აღმოჩნდა ძველ სომხურ და ირანულ ისტორიულ წყაროებში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ის რომ არქეოლოგიურ მონაპოვარს ეხმიანება წერილობით წყაროებში დაცული მონაცემები. გვიანდელი წერილობითი წყაროები ადასტურებენ, რომ სპილენძ/ბრინჯაოსა და რკინის ბატონობის ეპოქებშიც კოლხეთში სპილენძის წარმოება მეტალურგიაში სოლიდურ ადგილს იკავებდა, რაც კოლხეთში სპილენძის დამუშავების ხანგრძლივი ტრადიციის მაჩვენებელია. ეს ტრადიცია, თავის მხრივ, ადასტურებს ძველ კოლხეთში ლითონწარმოებაში სპილენძის ბატონობის ეპოქის არსებობას. სწორედ ამ რაკურსით ვპოულობთ

აღნიშნულ წყაროებში *იმის დადასტურებას, რასაც არქეოლოგიური ძიება მატერიალურად იძლევა.*

III. სპილენძი და ეთნოლოგია (ლეგენდები, თქმულებები, გადმოცემები, ტოპონიმიკა, ხალხური მეხსიერება)

ეთნოლოგიური მონაცემები (ლეგენდა, თქმულება, გადმოცემები, ზღაპრები, ხალხური მეხსიერება) და ტოპონიმიკა წარსულის კვლევისთვის უაღრესად ფასეულია. მათში პირდაპირ თუ ირიბად ასახულია ამა თუ იმ ეპოქის სოციალურ - ეკონომიკური და სამეურნეო თავისებურებები. ეს მონაცემები, დროთა განმავლობაში სახეცვლილების მიუხედავად, ხანდახან ღრმა წარსულს უკავშირდება.

მჭედლობა-მელითონეობასთან დაკავშირებულ ეთნოლოგიურ მასალაში, რომელიც თუმცა მთლიანად შუასაუკუნეებისაა, მაინც შეიძლება უფრო ადრეული ეპოქების კვალის დანახვა; კერძოდ, მეტალურგიის, მეტალურგის (მჭედლის), ლითონის მოპოვებასა და დამუშავებასთან დაკავშირებული პროცესებისა თუ სიმბოლოების შესახებ ლეგენდებში, მითებში, ხალხურ გადმოცემებში შემონახულ მრავალი ცნობა.

მთიან კოლხეთში, ლეჩხუმში, სადაც სპილენძის მოპოვებისა და დამუშავების დამადასტურებელი არქეოლოგიური მასალა მრავლად მოგვეპოვება, შესაძლოა, რამდენიმე გეოგრაფიული სახელის ისტორია ბრინჯაოს ხანიდან იღებდეს სათავეს.

ამ მხრივ საინტერესოა ოყურეშის განძი[7], რომელიც ნაპოვნია სოფელ ოყურეშის განაპირას. ამჟამად, იმ ადგილებში, სოფლის ყანები და სამეურნეო სავარგულებია, თუმცა სოფლის მიკროტოპონიმიკამ, შესაძლოა, სხვანაირად დაგვანახოს აქაური დასახლების ადრინდელი სურათი. ლაჯობის თავის (ადგილის სახელია, სადაც განძია ნაპოვნი) ოდნავ ზევით, ხვამლის მთის კლდოვანი ქარაფების დავაკებაზე, არის ადგილი, რომელსაც ადგილობრივები *ნაქალაქარს/ნაქალაქურს*[8] უწოდებენ. აქ ბლომად პოულობდნენ სპილენძის წიდებს, რაც ამ ადგილებში მისი წარმოების

[7] ლეჩხუმში ნაპოვნი „ბრინჯაოს განძები“ რელიგიური, საკრალური დანიშნულებისა უნდა იყოს (იხ.: ლორთქიფანიძე, 2001; სახაროვა, 1976; სახაროვა, 2000). აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ ლითონის ნივთების სარიტუალო ხეებთან მიტანა, მათთვის შეწირვა, უღელტეხილებზე თუ გზის სახიფათო ადგილზე დატოვების ტრადიცია XIX საუკუნემდე იყო შემორჩენილი საქართველოს ზოგიერთ კუთხეში (Инал-ипа, 1960: 343, 344) მისტიური დატვირთვისაა და იმ დროინდელ რწმენა-წარმოდგენების ნიუანსებს ასახავს ბრინჯაოს კოლხურ ცულებზე, რომლებიც განძების მნიშვნელოვანი კომპონენტია, გამოსახული ზოომორფული ფიგურები (ე.წ. ,,ფანტასტიკური ცხოველები'') (სულავა, 2010; სულავა, და სხვ. 2011; Sulava, 2013; Sulava, 2016). კოლხეთში ე. წ. „ბრინჯაოს განძების'' და ამ განძებში თავმოყრილი ბრინჯაო-სპილენძის ნივთების სიმრავლეს სარიტუალო დანიშნულების ფუნქციას ანიჭებენ (კერძოდ, მთიან კოლხეთში) (სულავა, 2014).

[8] მამარდაშვილი, 2023-2024.

უდავო დასტურია. ტოპონიმი *„ნაქალაქარი“* ამ არეალში მოსახლეობის არსებობას მოწმობს. ლაჯობის თავის ქვემოთა ადგილს ნამოსახლს ანუ ნასახლარს ეძახიან. უფროსი თაობის ადგილობრივებს ახსოვთ გადმოცემები, რომ აქ ხალხი ცხოვრობდა და ისინი დიდთოვლობის ჟამს ჩამოსული ზვავების გამო აყრილან[9]. განძის მდებარეობის ადგილი ნაქალაქარსა და ნამოსახლს, ანუ ნაცხოვრებ ადგილებს შორისაა. ვფიქრობთ, ნაქალაქარისა და ნამოსახლის ტერიტორიაზე მოსახლეობის არსებობის ქრონოლოგია საკმაოდ დიდი ხნის წინ უნდა ვივარაუდოთ, როცა ლაჯობის სიახლოვეს განძი დაფლეს. საინტერესოა ის, რომ განძის მოპოვების ადგილის სიახლოვეს არის ადგილი სახელწოდებით *ნასაყთრი (ანუ ნასაყდრი)* გორა. არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ნასაყდრი გორა ქრისტიანობის ეპოქის დროინდელი ტოპონიმია და ბრინჯაოს ხანაში მისი არსებობის დადასტურება არ შეგვიძლია, თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ ქრისტიანობის შემოსვლისა და დამკვიდრების შემდეგ, ახალი რელიგიის საკულტო ნაგებობები, ეკლესიები (საყდრები) შენდებოდა ძველი, წარმართული სალოცავებისა და ტაძრების ადგილზე (ბახტაძე, და სხვ. 2020). შესაძლოა, ნასაყდრი გორაზეც ოდესღაც არსებობდა წარმართული სალოცავი. ამ სალოცავის არსებობა ბრინჯაოს ხანაშიც არ არის გამორიცხული. ამგვარი ლოგიკა ოყურეშის განძის ფუნქციას ხსნის და საკულტო დანიშნულების შესაწირად წარმოგვიჩენს. მითუმეტეს, რომ განძის შემადგენელ არც ერთ ნივთს ნამუშევარი კვალი არ აქვს. ეს ნივთები არასდროს არ გამოუყენებიათ დანიშნულებისამებრ - საბრძოლო, სამეურნეო მიზნებისთვის. ესე იგი, ნივთები იმთავითვე განსაზღვრული იყო სარიტუალო დანიშნულებისათვის, ან გამოყენებამდე „შესწირეს“ ნასაყდრ გორაზე არსებულ სამლოცველოს. ნაქალაქარისგან არც თუ ისე შორს არის ადგილი, რომელსაც ჭურის ნათხარები/ჭურნათხარა ეწოდება[10]. ადგილობრივების გადმოცემით, ამ ადგილზე მოიპოვებდნენ მაღალი ხარისხის თიხას, რომლითაც ჭურებს/ქვევრებს ამზადებდნენ. ადვილი შესაძლებელია ბრინჯაოს ხანაში, ჭურნათხარაში მოპოვებული თიხები სპილენძის დნობა-დამუშავების ქურებში გამოეყენებინათ[11]. აღნიშნული ადგილები დაფარულია ტყეებით (ძირითადად რცხილნარით, მაგრამ ძალიან ხშირია წაბლის ტყეებიც). ანუ, სადღაც სიახლოვეს არსებული სპილენძის მადნების გამოსავლები, შესაფერისი თიხამიწები, ნახშირისთვის უპრიანი ხე-ტყის მასივები ნაქალაქარი/ნაქალაქურის ტერიტორიაზე სპილენძისა და ბრინჯაოს წარმოებისთვის

[9] მამარდაშვილი, 2006.

[10] მამარდაშვილის, 2023 - 2024.

[11] რაზეც მეტყველებს ამ ადგილებში წარმოებული სადაზვერვო-გათხრითი სამუშაოების შედეგად აღმოჩენილი არქეომეტალურგიული ძეგლების არსებობა (ჩაგელიშვილი, და სხვ. 2023; Kvavadze, et al. 2024).

მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. საფიქრალია, სწორედ ბრინჯაოს ხანაში ჰქონდა ამ ადგილს განსაკუთრებული მნიშვნელობა, მძლავრი საწარმოო შესაძლებლობები, რაც მისი დასახლების ტიპს ,,ქალაქურ'' ანუ ხელოსნობისა და ვაჭრობის ადგილის იერს აძლევდა. შემდგომ ეპოქებში, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ ადგილზე ქალაქური ტიპის დასახლების წარმოშობისთვის ხელსაყრელი სიტუაცია ყოფილიყო.

მელითონეობასთან დაკავშირებული შეიძლება იყოს სოფ. გორდის სიახლოვეს მდებარე ადგილი, რომელსაც *,,წმინდალიანს''* უწოდებენ. აქ, ადგილობრივები ბლომად პოულობდნენ ლითონის წიდებს[12]. ამ ადგილების ახლომახლო ისეთი საკულტო ადგილი ან ნაგებობა არ მოიპოვება, რომელიც ტოპონიმ წმინდალიანის სახელდების განმაპირობებელი იქმნებოდა. წიდები, მჭედლის და მელითონის ნამუშევრის კვალი, გამომუშავებული წიდები კი ძალიან ბლომად გვხვდება. ამდენად, სავარაუდოდ, ტოპონიმ წმინდალიანის ამოსავალ ფუძედ *„წიდა“* შეიძლება მივიჩნიოთ. წიდალიანის ტრანსფორმაცია წმინდალიანად, ვფიქრობთ, დასაშვებია. შესაძლოა, ამოსავალი სიტყვა მეგრული *წინდა-წინდამი* (წინდა - ჭუჭყი, წინდამი - ჭუჭყიანი) ყოფილიყო. *წინდა* ანუ ჭუჭყი აზრობრივ კავშირში უნდა იყოს წიდასთან (ზედმეტთან, თავს მორთმეულ ქაფთან, რომელიც ლითონის დნობისას წარმოიშვება ხოლმე და მისგან ლითონის განცალკევებისა და გაცივების შემდეგ წიდად იწოდება). *წინდამი* ანუ წიდებით მოფენილი ადგილი - წინდამი - წინდამიანი შესაძლოა დროთა განმავლობაში ფონეტიკური პროცესების შედეგად გარდაქმნილიყო წმინდალიანად. წმინდალიანი ცხენისწყლის ხეობაში, იმერეთის საზღვართანაა. ადვილი შესაძლებელია, რომ ეს ადგილი, თავის დროზე, ზანურ-მეგრული ენის გავრცელების არეალში ყოფილიყო მოქცეული. წიდა ფუძესთან დაკავშირებით საინტერესოა აღმოსავლეთ (მთიან) სამეგრელოში დაფიქსირებული და დღემდე არსებული ტოპონიმი *წინდაგოია.* ეს ადგილი მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ თამაკონში, მას *ნაოჭკადურსაც* ეძახიან, რაც მეგრულად ნასამჭედლურს ნიშნავს (ელიავა, 1983. ელიავა, 2018. ცხადაია, 2004). გადმოცემით, აქ სამჭედლო ყოფილა. ჩვენი აზრით, წინდაგოია (წინდა - ჭუჭყი, ამ შემთხვევაში წიდა, გოია/გოლა - გორა, მთა), იგივე *წიდაგორა*, წიდებიანი გორა უნდა იყოს. ამდენად ტოპონიმების, წიდაგოია და წმინდალიანის სახელდების მოტივაცია შესაძლოა ერთი და იმავე მიზეზისაა და წიდა სიტყვიდან მოდის. აქვე, აღვნიშნავთ, რომ მელითონეობასთან დაკავშირებულია ლეჩხუმის სოფ. ზუბის ზემოთ არსებული ადგილი *ჭითაგოლა (წითელიგორა),* რომელიც მდებარეობს სამეგრელოსკენ მიმავალ გზაზე, ასხის მთის

[12] არქეოლოგიური დაზვერვების შედეგადაც დადასტურდა ამ ადგილებში ლითონის გადამუშავების კერის არსებობა.

ფერდობზე. ჭითაგოლას (ჭითა - წითელი, გოლა - მთა) ეტიმოლოგიაც მეგრულია. მელითონეობასთან დაკავშირებული უნდა იყოს ტოპონიმი ქვაწითელი და ქვაწითელის ციხეც, რომელიც ასევე სოფელ ზუბის თავში მდებარეობს.

